

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 32

ქ.თბილისი

2020 წლის 13 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 13 მარტს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ედუარდ ნაჭყებია, აკაკი კერესელიძე, ლაშა მაჭავარიანი.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა უფროსის ზ. ბაკურაძის მომართვა, მატჩის მეთვალყურის ზ. შავგულიძის ოქმი და მატჩის მთავარი მსაჯის ი. ჭანუყვამის წითელი ბარათის ოქმი და ვიდეომასალა, ამა წლის 8 მარტს, რეგიონულ ლიგაში, ჭიათურის „რაგბის სკოლა“-სა და წყალტუბოს „დინოზავრი“-ს შორის, მატჩის დროს მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ჭიათურის „რაგბის სკოლა“-ს მორაგბე მუხრან ბარათაშვილი - მეტოქისათვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.8, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ის 2.8 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ჭიათურის „რაგბის სკოლა“-ს მორაგბე მუხრან ბარათაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 5(ხუთი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.8 პუნქტი და ჭიათურის „რაგბის სკოლა“-ს რეგიონულ ლიგაში დააკლდება 2 (ორი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/